ნიანგი

სექტემბერი

1999

ISSN 0132-6015

136
1999

ჯანდაცვის სამინისტრო გაფრთხილებთ
„ნიანგის" წაკითხვა სასარგებლოა თქვენი ჯანმრთელობისათვის

უარზეა შევარდნაძე აფხაზეთში შევარდნაზე

საქართველო, სხვათა შორის,
იყო ძველად ზღვათა შორის,
და ამიტომ აფსუსია
სოხუმი რომ АПСУ სია.

ნავთობსადენი - დასავლეთისაგან,
„კამერა" - მოქალაქეთა კავშირისაგან,
პორტრეტი - თამაზ დალაქიშვილისაგან,
მაისური - კოტე ყუბანეიშვილისაგან.

პრობლემები -

?

შეავსეთ და გამომგზავნეთ - „ნიანგი"

პოლიტიკური ეუაიკა

არ გეხება ედუარდი
წელში თუ არ შეუვარდი.

თუკი საფრთხე შორიდანვე იგრძნე
მეტი კი არაფერია სიბრძნე.

NEWS

დღეს თბილისში აბაშიძე
ვერ ჩამოდის პანაშვიდზე.

გენერალი ლებედი ბათუმს ეწვია,
სადაც ნაყოფიერი მუშაობა გაიმართა
"ლებედინაია პესნია"-ზე.

საგენტო "ბუსპრესი"

Операция Кавказ не известно чей заказ

იპოვე ნახატი:
აი ტექსტი -
ვინც არ თხრიდა ომში „აკოფს"
ყველაზე მეტს ლაპარაკობს.

ერთი ნახვით შეუვარება

ნახ. ი. დალაქიშვილისა

საქართველო ანისა
საქართველი ვანისა
საქართველი დანისა
საქართველო პანისა
დარდმა გულზე გაგვაცა
იხლინება კაკვანია
ნასაჭოთარ - ნარუსები
აუშვია პარუსები
ირეკლივ ბევრი მეწეთია
იქით მხარეს ჩეჩნეთია
ერთი მხრიდან ოსეთია
მეორედან რუსეთია
სომეხი თუ თათარია
ჩვენ გვეიმონ მზად არიან
რადგანაც ვინც ქართველია
ყველა ფეხით სათელია

გკითხოთ ანო,
თუნდაც ვანოს,
დაიცავენ ნეტა კანონს?
განა ჯუშერს
ანდა ზაურს
აუკრძალავ აურზაურს?
გინდაც ოთარს
თუნდაც ნოდარს
შეაკვარებ ახალ მოდას?
თუნდაც თენგიზს
თამაზს, ჯემალს
შეაძულებ განა ტყემალს?
ღმერთმა მოგცეთ ჯანმრთელობა,
ასეთია ქართველობა.

სურათი კი ნათელია
საქართველო სანთელია
და თუ გულს არ გაიმაგრებს
შეიძლება უცებ ჩაქრეს.

გვეკითხებიან - ვეპასუხობთ

კითხვა:
- რა არის ზამსა?

პასუხი:
- ეს ის ვეშაპია, რომელიც დამოუკიდებელ და თავისუფალ საქართველოს მოესწრო.

კითხვა:
- თუ შეიძლება გვიპასუხეთ, უკვე გვაქვს დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო, თუ რაიმე კიდევ უარესი გველის?

პასუხი:
- უარესი გამორიცხულია!

კითხვა:
- რა არის თავისუფლება?

პასუხი:
- შენ ფეხებზე გიკიდებენ, შენ კი რასაც გინდა, იმას დაეკიდები!

განცხადება

მომავალ არჩევნებში მონაწილე დეპუტატობის კანდიდატთა საყურადღებოდ!
რეგისტრაციაში გასატარებლად დეპუტატობის კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს საყალბეებული მინაბეჭდი შემდეგ დოკუმენტებში:

1. კრავი და ქართული ენციკლოპედია;
2. ალმოსავლეთი ორთაბრძოლები;
3. ბრძოლა წეხლების გარეშე;
4. "ბირეკოიმის" ბოთლის სწორა და მიზანში შესხმა;
5. ეუბლის ძარღვის მრავალჯერადი დაწყვეტა;
6. ექვსი პულტის სინქრონული მართვა;
7. ლიდერებისა და დედის ენება;
8. თვალღია ძილი.

ამ მიმართულებით მომავალ პარლამენტართა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით შეიქმნა
კომპანია I AM & MINE NABADI LTD.
(ბაბ. "ეგ ვარ და ჩემი ნამალი"- ინტერნეტოლოგი საშაურის საყურადღებოდ)

მიღება ასაკის, სქესისა და სეზონის შეუზღუდავად.
იჩქარეთ, არჩევნები კარზე მოგვდგარი, ადგილები შეზღუდულია!

„ნიანგის" საარჩევნო პლატფორმა

მოტყუვებას მოვითხოვენ მასესები
მართლის მოთმელი ძმასაც არ ეპასები.

როცა ყველას ეუბნები სიმართლეს
ცხოვრებაში არასოდეს ბიმართლებს.

ვინც ვერ აუსანებს რაც სდება
მოყვდებისას მარცხდება.

კაცი თავს როცა იმართლებს
ხშირად მაუბრის სიმართლეს.

რომ არ იყვირო ვაიმე,
უნდა აკითხო რაიმე.

ისაჩაკვენ მუშები
სანამ ქარმამ არ შეშვები.

მინორიტარი: კაუბანეიშვილი

პროგნოზი:

რომ ჩავატარებთ არჩევნებს
ხალხს გადავუყრით ნარჩენებს.

ნევროზი:

ხალხს შეეცვალა იერი
ქუჩაში დადის მშიერი
ერთი დოლარი რომ მისცე
ხმას მოგცემს ნებისმიერი

დიაგნოზი:

გადაშენდება ნაცია
თუ სისხლში სიზარმაცეა

ნარკოზი:

**$$$

ნიანგში

გაუმარჯოს იმ ნაციას,
ვინც გაუძლებს ინფლაციას,
გამოავლენს მტკიცე ნებას
და თავის თავს გამოკვებავს.

მოსავალი გაგვიფანტა ქარმა
თავი როგორ დაიჭიროს ლარმა
და თუ ფასი აეწია დოლარს
ინფლაციას ვერ მოუგებ ბრძოლას

ხაშლამა რომ გაუთავდეს მიხოს
ხელში თოფი შეიძლება იღოს
და ახალით აღგზნებული როლით
ავლაბარში შემოვარდეს სროლით

ლობიო რომ გაუთავდეს რაჭველს
რადგან უკვე ვეღარ შეჭამს საჭმელს
წამოვა და ის უქონლად შიშის
ან სხვას მოკლავს ან მოიკლავს შიმშილ

აბა ღომი თუ არ ექნა მეგრელს
რა თქმა უნდა ბოევიკებს შეკრებს
ზვიადიზმის შეპყრობილებს მანკით
და თბილისზე წამოიწევს ტანკით

იმერელიც უქონელად ჭადის
დაკარგვას თუ შეეგუა მადის
ჩაიში რომ ვეღარ ჩაყრის შაქარს
თბილისისკენ წამოიყვანს ლაშქარს

და რადგანაც დღესდღეობით ქართლში
საჭმელს უკვე ერთი თუ ჭამს ათში
გაჭირვების ბოლო ზღვართან მდგომი
ხალხი ჩათვლის რომ გვჭირდება ომი.

*

სრულიად საქართველოს სატელეფონო ავტომოპასუხე

- ჭრრ... ქვეყანა რომელიც თქვენ აკრიფეთ გასულია მომსახურების ზონიდან

- ჭრრ... ქვეყანა რომელიც თქვენ აკრიფეთ დაზიანებულია

- ჭრრ... ქვეყანა რომელიც თქვენ აკრიფეთ გამორთულია დავალიანების გამო

საქართველოს მუქთიკომი

ერთადერთი გაბარება
ჩვენთვის გახდა დახმარება.
თანაც
ეშმელელს უთხრა საყვედური
ქცევა არის თავხედური.



გვეკითხებიან - ვპასუხობთ

კითხვა:
- რა მოხდება, საჰარის უდაბნოს ქართველმა ფინანსისტებმა რომ ბიუჯეტი შეუდგინონ?

პასუხი:
- შეიქმნება ქვიშის დეფიციტი.

კითხვა:
- უპირველესად რა დამაბრკოლებელი ფაქტორები უნდა დაძლიოს საქართველოს სოფლის მეურნეობამ?

პასუხი:
- ასეთი ფაქტორი ოთხია: გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი

მორბენალი სტრიქონი copyright niangi

ჩემს საშობლო მხარეო რით ვეღარ გაიხარეო ვერაფრით დაგეხმარეო მეხი კი დაგაყარეო.

ეს მცირედი შენ წამოგიღე,
ბიუჯეტიდანაა მოპარული.
შენ ნუ დამსჯი და
სხვებს მე მოვუვლი.

ვინც მთავრობის მსახურია
აცვია და ახურია.

ზოგი გაქცეულია,
ზოგი წაქცეულია,
ზოგი დაქცეულია,
ზოგიც ჩაქცეულია.

დღეს ვინც არის ღირსეული
ტილები ყავს მისეული

კაცმა რომ თქვას ისე ზოგი
სულ არ არის დასაზოგი

*

შევარდნაძემ ტერორიზმი აღკვეთა
და თბილისში ცვენა არის კაფეთა
ის გულაობს ვინც ფულები აკეთა
შეიძლება მაგიდების დაკვეთა
"გროლშის" პაბი გაუხსნია ნესტორას
კლიენტები აახია რესტორანს
თვალს დაადგამ ნებისმიერს შენ რომ ბარს
კათხა ლუდზე დაპატიჟებ მეგობარს
"პეროვსკაია" გახდა როგორც არბატი
არც კვირაა მისთვის და არც შაბათი
თუკი ნახვა მოგინდება ვინმესი
შეხვალ სადაც აწერია "გინესი"
დაჯდები და ჟინს მოიკლავ გართობის
სასისკს შეჭამ დააყოლებ კარტოფილს
და რეზინის ჩაწყვეტამდე ტრუსიკის
ცეკვავ ხმაზე აწეული მუსიკის.

*

სონეტი დოლარს

მე მარტოობა შემაყვარა შენმა ფერებამ,
დაღლილ ოცნებას დაეკარგა აზრი ჩვეული,
შენთან ალერსში აღსასრული არ მემტერება,
და მენატრება მარადმწვანე შენი სხეული.
როცა ვუყურებ სხვისი ხელი როგორ გეხვევა
დაჭმუჭნულ წელზე, სინანულით მევსება მკერდი,
მე უშენობით ტანზე ჯინსი შემომეხევა,
და დავეგდები ედგარ პოსთან ყორანის გვერდით.
ჩემო ძვირფასო, რადგან ყველას ეკუთვნი ახლა,
ბედნიერების სათავეა შენი სისრულე,
ჩვენ განშორებას უსასრულო სიმძიმე ახლავს,
და უცხო სევდა უნაპირო ბანკთან მისული.
შენ კი მსოფლიო სიყვარულით დარჩი გართული,
და აღარაფერს გეუბნება ჩემი ქართული.



*



ნახ. ჯ.ლოლუასი

კრეკი

ჯიხურთან

- რავაა გაზეთების საქმე?
- ისე შენი მტრისა იყოს!
- „შანსი“ გაქვთ?
- არავითარი.
- „XXI საუკუნე“?
- ჯერ არ მოსულა.
- „ახალი თაობა“?
- რას გაუგებ, ჩინურივითაა.
- „გვარიშვილობა“?
- ვის რაში აინტერესებს.
- ყოველდღიური „სექსი“?
- ყოველდღიური გაგაგიჟებს, თუ გინდა, ყოველკვირეულს მოგიხერხებ - დაიჯესტს.
- „იმერეთის ნიავი“ არ არის?
- კარგა ხანია არ დაუბერია!
- „რეზონანსი“ არის?
- სადღაა, თუ გინდა, „დესერტი“ მაქვს 10 თეთრად, „დრო“ - თავზესაყრელად.

ჩ. ლ.

თელ-ავივი - თელავი
(სატელეფონო საუბარი)

- როგორა ხარ, მიკირტიჩ, როგორ?
- რომელი ხარ, კაცო?
- ვალიკო, ვარ, ვალიკო - თელავიდან!
- ვაახ, ვალიკოჯან, როგორა ხარ, შენ გენაცვალე, შენა!
- მე არა მიშამს, აი, სამოთხეა იზრაელი, სამოთხე!
იცი, რა კაი რამეა! შენ როგორა ხარ, თელაველები როგორ არიან? გაზი გაქვთ თელავში?
- არა, მიკირტიჩ, მეექვსე წელია უკვე, რი გაზი, რა გაზი!
- სინათლე?
- სინათლეც კაი ხანია თვალით არ გვინახამს!
- წყალი?
- წყალიც შეგვიწყვიტეს!
- ღვინო?
- ვენახები ავჩეხეთ, მიწები გაყიდეს!
- ხელფასები გაგეზარდათ?
- უმუშევრები ვაართ მთელი ოჯახი!
- ბებიაშენს პენსიას აძლევენ?
- სამი წლის პენსიას ერთბაშად მოგცემთო, ეუბნებიან!
- ვალიკოჯან, თუ ძმა ხარ, ერთი გამაგებინე: საიქიოდან ხო არ მელაპარაკები?!

სიმონი

განცხადებები

ვიყიდი მინისტრის, დეპარტამენტის თავმჯდომარის, პარლამენტის წევრის, ბაზრის დირექტორის, მაღალი ჩინის პოლიციელის, საბაჟოსა და საგადასახადო სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობას შეღავათიან ფასებში.

გავყიდი სკოლის ოქროს მედალს, საქორწინო ბეჭდებს, ნათლობის ჯვრებს, ანტიკვარულ ნივთებს და სურათებს, საოჯახო რელიქვიებს, მსოფლიო სიმპოზიუმებზე მოპოვებულ ჯილდოებს, ნობელის პრემიის ლაურეატის დიპლომს, ტანსაცმელს, თეთრეულს - ძალიან იაფად.

ვუმკურნალებ რადიკულიტს, იპოქონდრიას, პროსტატიტს, პარანოიას, ათაშანგს, სუსუნატს, სეპარატიზმს, ქრონიკულ პატრიოტიზმს, შარდშეუკავებლობას და თავშეუკავებლობას.

ალეკო

ვაქირავებ თავს ხორბლის სალეწად (კალოდ) და კაკლის სამტვრევად (ქვასანაყად)

უმუშევარი ინტელექტუალი

ვმალავ მახათს ტომარაში, ცეცხლს - თივაში და წყალს - ტუალეტის ქაღალდში

ადვოკატი ჯიბო

ვყიდი კასეტას დეპუტატის ხვრინვის ჩანაწერით.

სონი რეკორდსი

ვიძლევი ორი ბატის მოვლის შემსწავლელ გაკვეთილებს მომავალი მინისტრებისათვის.

ტასიკო

ნახ. ჯ.ლოლუასი

ნახ. მ.აბაშიძისა

ნახ. ჯ.ლოლუასი



ნახ. ვ.კუტიასი

- ჩემს სიდედრს თაგვის შაქარი მივეცი.

- მერე?

- კატის შიშმა აიტანა.

HELLO შაკო

უცნაურ გუნებაზე გამეღვიძა
იმ დილით ჯერ ქართული ბანკის მეანაბრესავით გაურკვევლობა დამეუფლა, მერე დავადგინე, რომ რაღაც მინდოდა - არა საჭმელი, არა სასმელი, არამედ რაღაც სხვა. არადა, ბუნების წიაღში ყველაფერი რიგზე იყო - მობილივით ჭიკჭიკებდა ბულბული, თავის მხრივ ვარდი ტენდერში გამარჯვებულივით იწონებდა თავს. რაღა გასაკვირია, რომ მეც "კაფე დე კოლუმბიასავით" მომინდა სიყვარული და კალმის ზვიგენივით ჯიქურ ვეცი ტელეფონის აპარატს. "ნეტაი სახლში დამხვდეს... ნეტაი სახლში დამხვდეს..." - სარეკლამო კლიპივით მიბურღავდა ტვინს შ.პ.ს. "ქართულ დაზღვევასავით" უაზრო ფრაზა.

- სად დამეკარგე აფხაზეთივით? - გავიგონე ყურმილში საგადასახადო ინსპექტორის ინტონაციით დასმული შეკითხვა.

- მე ვიკარგები? შენ იკარგები! - ვცადე, ხუმრობით დამეფარა აღელვების აქცია, მაგრამ ქართული ბორჯომივით გაყალბებულად გამომივიდა. მან საგზაო პოლიციელივით უტყუარად შეაფასა სიტუაცია და დოლარივით წელგამართულმა ოპოზიციური ფრაქციის ლიდერივით მომახალა:

- ხელფასივით წელიწადში ერთხელ რომ გამოჩნდები და დეპუტატივით გაიტლიკები, მაგით მოიპოვებ ნდობის ფაქტორს?

მივხვდი, რომ გრძნობამ რუსული რუბლივით განიცადა ინფლაცია და მისგან ემისიის არავითარი იმედი არ უნდა მქონოდა. ყურმილი "კოკა-კოლას" ცარიელი ბოთლივით მოვისროლე და, ლატარიის ბილეთის მფლობელივით იმედგაცრუებული და საქართველოს ბიუჯეტივით წელმოწყვეტილი, ისევ ზეწარში გავეხვიე თურქულ პეჩენიასავით.

არ ვიცი, როდემდე გაგრძელდება ჩემი ქართულ ენერგეტიკასავით არასტაბილური მდგომარეობა,

მაგრამ ის კი ნათელია, რომ ჩერნობილის რადიაციასავით ნელა, მაგრამ ფუნდამენტურად მომიღებს ბოლოს. თუმცა ჩემი წნევა ლარის კურსივით თამაშობს, მე მაინც ინდივიდუალურ დემოკრატიულ
რეფერენდუმს ვატარებ და ძალოვანი მინისტრივით რიხით შევძახი საკუთარ თავს:

„დუმ სპირო, სპერო!“ *

შაკო

* სანამ ცოცხალი ვარ, ვიმედოვნებ! (ლათ)

- რა ვქნათ, სანიტრის შტატი შეგვიმცირეს!

ღია ბარათი გიგლა ფირცხალავას თაყვანისმცემლებს!



ნოდარ დუმბაძის რედაქტორობის დროს "ნიანგს" ოქროს ხანა ედგა. პიროვნულად მზესავით ნათელი და ხალასი იუმორით გაჯერებული შემოქმედი "ნიანგს" გამზრდელ ძიძად სთვლიდა.
არანაკლები ავტორიტეტი და პოპულარობა მოუტანა "ნიანგს" სახალხო მხატვარმა და კარიკატურისტმა, "სიცილის მოციქულმა" - როგორც მას „ნიანგელები" უწოდებდნენ სიყვარულით - გიგლა ფირცხალავამ.
1982 წელს "ნიანგში" დაიბეჭდა ნოდარ დუმბაძის იუმორესკა - "ღია ბარათი გიგლა ფირცხალავას თაყვანისმცემლებს!", რომელიც ავტორმა მხატვრის დაბადებიდან 60 წლისთავს უძღვნა. ეს იუმორესკა მაგალითია ორი დიდი შემოქმედის ურთიერთპატივისცემისა და დასტური იმ დიდი სიყვარულისა, რომელიც „ნიანგელებს" შორის სუფევდა.

ნანა ჯაჯანაშვილი

ნოსტალგია ნიანგელებზე

ღმერთმა ისე დამსაჯა, რომ ეს უკანასკნელი ათი წელია, გიგლა ფირცხალავას ქების მეტი თითქმის არაფერი გამიკეთებია! ვინ იფიქრებდა, რომ ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლებს გიგლა ფირცხალავას აპოლოგიას შევალევდი. მაგრამ ვის ვუსაყვედურო, როდესაც ეს საქმე თვით გავიხადე პროფესიად. ცოდვა გამხელილი სჯობს, არც გიგლა ფირცხალავას უთხოვია მაინცდამაინც, მაქეო! ერთხელ ისიც კი მითხრა:- რას მამადლი ამ შენს ქებას, თუ გინდა, სულაც მაგინეო! - და ახლა, ცოტა არ იყოს, შეურაცხყოფილი, სწორედ ამ განზრახვით ვუზივარ საწერ მაგიდას. დიახ, გაბრაზებული ვუზივარ საწერ მაგიდას, კედლიდან კი დამცინავად მიმზერს გიგლა ფირცხალავას ხელით შესრულებული, შარვალშემოგლეჯილი, პერანგშემოფხრწილი, წარბებაპრეხილი, ბანჯგვლიანი, გაუპარსავი და თითქმის ფეხშიშველი ჩემივე კარიკატურა.
ეს ის კარიკატურაა, რომლის ნახვითაც შეძრწუნებულმა მამაჩემის ძმამ, ალიოშამ მკითხა:
- ვინ დაგხატა, ბიჭო, ასე?!
- გიგლა ფირცხალავამ!- ვუპასუხე.
- არ შემოუშვა სახლში!- თქვა მან და კარიკატურას თვალი აარიდა.
- რატომ?! - ვკითხე მეგობრის დაკარგვის პერსპექტივით შეწუხებულმა.
- მტერია მაგი შენი!- ისე მითხრა, შეკამათება ვერ შევბედე.
ისე, იცოცხლეთ, კარიკატურას კი აწერია დიდი ასოებით - "მეგობრული შარჟი", მაგრამ მეგობრებს ასე ხატავენ?! გათავდა! ეგ ნომერი აღარ გაუვა გიგლა ფირცხალავას! მე ასე მესმის: - ცალმხრივი მოძრაობაა კარგი და არასიყვარული!
მაინც, რა ნახა ქართველმა ხალხმა ამ ბურთივით მრგვალ კაცში, რომ ჩაბარა განუსაზღვრელი პოპულარობის მანდატი და გაუშვა ამ დალოცვილ დუნიაზე?!
ლამაზია?! - არა მგონია!
ღონიერია?! - მაგის გალახული კაცი ჯერ არ მინახავს, თვითონ კი- რამდენჯერაც გნებავთ!
მდიდარია?! - მრცხვენია, რომ ვამბობ, მაგრამ, აგერ ათი წელია, ჩემი ასი მანეთი მართებს და არ მიბრუნებს!
სერიოზულია?! - ისე რა ვუთხრა მაგას! ამა რაში საქმე?!
ახლახან მისი ნახატების გამოფენა იყო, სამ თვეს გაგრძელდა. ჩავიხედოთ შთაბეჭდილებათა წიგნში, იქნებ იქ წერია რაიმე საგულისხმო.
"გმადლობთ, ბატონო გიგლა, მშვენიერი ხელოვნებისათვის!" - წერია პირველ გვერდზე.- ეს, ალბათ, ვიღაც ზედმიწევნით თავაზიანი კაცის დაწერილია.
"ამის მსგავსი არაფერი მინახავს!" - ეს ვიღაცაა, უნახავია!
"შენ შემოგევლოს, გიგლა, ჩემი თავი, ასე რომ გვასახელე!" - ეს ნამდვილად მისი ნათესავის დაწერილია.
"მთელ საბჭოთა კავშირში შენისთანა კარიკატურისტი არ იქნებოდეს იქნება!" - ამას, წყალი არ გაუვა, მეგრელი დაწერდა
~ я не на выставке нахожусь, а на празднике таланта! ~
- ამის დამწერს ისიც ვერ გაუგია, გამოფენაზე რომ იყო და, რა უნდა ველაპარაკო?!
"მე ძალიან ვცუხვარ, დიდად პატივცემულო გიგლა, რომ თქვენა ინგლიშელი მხატვარი არა ბრძანდებით!" - წერს ვიღაც ინგლისელი ქართულად. მაგას ჩვენც ვწუხვართ, ბატონო!... და თუ ჰგონია იმ ინგლისელს, გვთხოვოს და არ გავატანთ, ძალიან ცდება! - წაიყვანოს და ღმერთმა მოახმაროს!
"შენ თვითონ ხარ მაიმუნი!" - უცვნია თავისი თავი ვიღაცას.
"ყოჩაღ, გიგლა, მაიმუნს რომ წერაკითხვა ასწავლე!" - ამხნევებს მხატვარს ვიღაც თავხედი იქვე.
და ბოლოს:
"უღრმესი მადლობა, ბატონო გიგლა! თქვენმა ბრწყინვალე კარიკატურებმა ძალიან დაგვაფიქრეს ქართველები!"
- ეს აშკარად თვითონ გიგლას დაწერილია და, საერთოდ, მსგავსი დითირამბებით სავსე ამ შთაბეჭდილებათა წიგნის ეს სამტომეული ორგანიზებულ ხასიათს ატარებს და მაინცდამაინც საგულისხმოს არაფერს გვეუბნება! მაინც რაშია საქმე, რით ავხსნათ ამ კაცის ასეთი პოპულარობა?!
მაგალითად, ერთმა მითხრა - მაგას თავი კი არა, გული აქვს დიდიო!
მეორემ მითხრა - კეთილშობილი კაციაო!
მესამემ - პატიოსანიაო!
მეათასემ - ნამდვილი მამულიშვილიაო!
მემილიონემ - ნიჭიერია, ბატონო, ნიჭიერიო!
ყველა დანარჩენმა - ხალხის წიაღიდან მოდის, ხალხის გულში იხედება, ხალხის ფიქრის სარკეა და მეტი რაღა უნდა იყოს ერთი უბრალო ქართველი კაციო?!
მართლაც, რა ქნას ერთმა მამულისათვის თავდადებულმა კაცმა, რომელსაც თავისი ნათელი სულისა გამო, სუფთა გულისა გამო, ნიჭიერებისა გამო საკუთარი ხალხის უზომო სიყვარული დაუმსახურებია და ერთი პატარა, ჯადოსნური, ფერადი ფანქრითა და ფუნჯით ის უზომო სიყვარული ერთიასად დაუბრუნებია თავისი კეთილი ხალხისათვის.
.. .და კიდევ ერთი საიდუმლო აქვს გიგლას: კერძოდ ის, რაც მე დამემართა - რამდენჯერაც მივუჯექი საწერ მაგიდას მისი განსაქიქებელი პამფლეტის დასაწერად, იმდენჯერვე მისი შემოქმედების აპოლოგია გამომივიდა! ეს ისეთი საიდუმლოა, რომელსაც, ალბათ, თვითონ გიგლა ფირცხალავაც ვერ ახსნის!

1972 წ.

ა.შ. გავიდა კიდევ ათი წელი. გიგლა ახლა 60 წლისაა. სიამოვნებით დავუმატებდი ამ წერილს რაიმეს, მაგრამ მის ცხოვრებაში ამ ათ წელიწადში არაფერი შეცვლილა - არც წონაში მოუმატებია და, რა თქმა უნდა, არც დაუკლია (არ დაუჯეროთ, ათი კილო დავიკელიო, რომ ამბობს!), არც ცოლი შეურთავს (ვინ იცის, იქნებ, აწი იფიქროს!). მოხდა მხოლოდ ის, რომ საქართველოს სახალხო მხატვრის წოდება მიიღო, რაც, მის გარდა, არავის გაუგია! თუმცა ამას თვითონ გიგლა ასე ხსნის: "ჩემი წიგნის წინასიტყვაობას რომ მიწერდი, ხალხს უკვე მაშინ ვეგონე სახალხო მხატვარიო".
მგონი, ამ შემთხვევაში მართალი უნდა იყოს საკუთარი ხალხის უზომო სიყვარულით დღენიადაგ მთვრალი მხატვარი გიგლა ფირცხალავა!

ნოდარ დუმბაძე

1982 წ.

the Best of 1999 - 34 = 1965

- არ თქვა ახლა, კლეპტომანია მაქვსო, თორემ გავგიჟდები!

- ბილეთი 5 კაპიკი ღირს, შენ კიდე 3 კაპიკს მაძლევ!....
- სამაგიეროდ ბილეთს არ გთხოვ.



- კი მაგრამ, რა ენაზე ელაპარაკები მასწავლებლებს?

- რატომ არ მიხდი, შე უნამუსო, ალიმენტებს!?!?
- ჯერ დამიმტკიცე, რომ ჩემი შვილია!....



- კაცო, მანქანამ რომ დაგარტყა. ნომერი ვერ დაიმახსოვრე?
- ვერა, მაგრამ ტანი მიგრძნობს, მალე გავიხსენებ!



"ნიანგის" რედაქცია გულითა და სულით ულოცავს ბ-ნ რეზო გაბრიაძეს საქვეყნო აღიარებას და სიამოვნებით უთმობს ადგილს "შერეკილ" ფრაგმენტს კინომოთხრობიდან "სამოთხის ჩიტი". ილუსტრაციები ბ-ნმა რეზომ საგანგებოდ „სანიანგო" პუბლიკაციისთვის შეასრულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამოთხის ჩიტი (ფრაგმენტი)

რეზო გაბრიაძე

- ჩიყვიანო აზიატო!- იწივლა ნოშრევანმა და სანიტრებს უბრძანა: - ახლავე! აქვე! გამოიყვანეთ ავადმყოფები!
- არ დაუთმოთ ტუსაღები!- გასცა ბრძანება ციხის უფროსმაც.

- ეცით! - გაჰყვიროდა ნოშრევანი, თან აქეთ-იქით ქურციკივით დახტოდა.
ორი რაზმი ერთმანეთს ეკვეთა.
ატყდა ერთი ვაი-უშველებელი, შერბენა-გამორბენა. ბაგაბუგი.
უბანმა გაიღვიძა, გაიღვიძა ქალაქმაც, აკიაფდა ჭრაქები. ყველამ "ნემეცის ქუჩას" მიაშურა. იფეთქა საუკუნეობით დაგროვილმა სტიქიურმა ძალამ. არავინ კითხულობდა, ვინ-ვის, რატომ ან რისთვის ურტყამდა. დედის, მამის,პატარის, დიდის, ქალის, კაცის გარჩევა მოიშალა.

მოცელეს ღობეები, წაიღეს ბაღები, ბოსტნები, ბორცვ-გორები, თევზი ნაპირს მოშორდა და სილაში ჩაიმარხა, ჩიტმა ხმა გამოიცვალა. გახურდა ჩხუბი, აღდგა იმერეთი! გაიღო კარი ლხინისა!... ვიღაცამ ქუჩის კუთხეში ბაგრატ მეფის ჟამს ჩასმული ქვა ამოაძრო და უმიზნოდ

ცაში ისროლა. მეორემ, ასევე უმიზნოდ, ქოსა ძაღლს სტაცა ხელი და ლეღვის ხეზე ააგდო. ქუჩაში ბურთა ლეღვების წვიმა წამოვიდა.

სილოვან ბლიკვაძე ღორისნაწლავებით აბრჩობდა ენუქი ფურცხვანიძეს მაზლისცოლების დანახვაზე დარუშა შავგულიძემ ბავშვიანი აკვანი კორკიმელაზე ჩამოკიდა და ჩხუბში ჩაება. მაღლაკიდან ფხაკაძეები დაეშვნენ და ბეჭებიანი თოხები ისე დაატრიალეს, კოხინჯრობას რომ იციან. "გულვარდში" "ბუზიკამ" დასცხო, იაშა ფლეიშმანი პანღურით ხელმძღვანელობდა ორკესტრს.

ხეზე ჩამოკიდებულმა პატარამ არტახები აიწყვიტა და შიბაქით ამოუგდო თვალი ხრესილის ომის ვეტერანს პაშა აბაშიძეს. გიმნაზისტი ახვლედიანი სამ მანეთს ითხოვდა ლათინური ენის მასწავლებლის ჭიდან ამოყვანაში. ლათინისტი ორს იძლეოდა:
- მაშინ ეგდე მაქ!- გიმნაზისტი ჭას მოსცილდა, ისინკა გაგელაშვილს ყელში ხელი წაუჭირა და რჯული შეურყია. შვანგირაძემ ახეული ყური ჯიბეში შეინახა და გოგისვანიძეს თავი დაუშინა გატაცებით. რაჭველები გუბერნატორის როიალით კედლებს ანგრევდნენ. შუბლაძეს დაბალ-მაღალ კბილებს ერთ ზომაზე უყენებდა. მეწურბელე გაჩეჩილაძის ბალახვანიდან შემოჭრამ უფრო ააჩქარა საქმე.
- გაჩერდი, შე სირისტიანო!- უყვირა ხუტამ ექიმს და ცხენი შეჰქუსლა.
- ღრანჭის მასაჟი მაგას!- ყვიროდა ნოშრევანი და ადგილს იცვლიდა.
კვასტანცია თითისტარით ედესიას დასდევდა. ფესტვენიძის ქვეშ მიწა იბზარებოდა. გვერდებშემტვრეული მეწურბლე გაჩეჩილაძე ნათესავებმა გოდრით გაიყვანეს ბრძოლის ველიდან და აღსადგენად ექიმ მინოვიჩთან გააქანეს.
- მე ვიცი შენი წამალი!- უკივლა ციხის უფროსს კუთხეში გამომწყვდეულმა ექიმმა და სანიტარს უბრძანა:- ანტიძაღლინ!

კარგად განსწავლულმა სანიტარმა კეტი მიაწოდა ექიმს და ამ უკანასკნელმა მკლავის სიმსხო ანტიდზაგლინუს თავში დაუშინა ხუტას.
გაჩეჩილაძე გოდრიდან ამოხტა და თავი ბურღივით შეუშვა ჩხუბში.
შაშიკო პალიკოს უფერადებდა სახეს. ფრთებდაპუტული არწივები ინდაურებივით დარბოდნენ ქუჩებში.
- ორი მანეთი და ორი შაური!- ისმოდა ჭურიდან მასწავლებლის ხმა.
- სამი მანეთი! - მტკიცედ ადგა თავისას გიმნაზისტი ახვლედიანი, რომელსაც მამაგეიშვილი თავით ნაკურთხ მარილს ანაყინებდა.
ბარე სამოცი კაცი ცხვირგატეხილი დარბოდა, მარგალიტას სახლიდან ტაშტებით აქცევდნენ სისხლს.
მარგალიტა უკვე აღარ ჰგავდა კამფეტზე დახატულს, აღარც ქალს ჰგავდა, სახეზე ფერუმარული აზელოდა, თმა გასჩეჩოდა. საბრალო, ლოყებს იკაწრავდა და ქმართან ერთად კედლებს ასკდებოდა.

- გაჩერდი, შე კურდღლისტყაოსანო!- ისე უყვირა ხუტამ ექიმს, რომ ლომს გაუსკდებოდა გული, თანაც რამდენჯერმე ჰაერში დაცალა იარაღი.
- არ დამინდობს,- მიხვდა მარგალიტა,

ვინდა ზედა, ვინდა ქვედა მასაჟი და კოსმეტიკა სალონია "ქართლის დედა" იქ იკითხეთ ავეტიკა.

ტრიფონი წინ გაიგდო და ბუხრისკენ გააქანა.
- რას შობი, ქალო?!
- მიდი, შეძვერი!
- ვერ შევეტევი!
- შენ კი არა, ორი შენხელა შეტეულა!- უყვირა მარგალიტამ.
- კი მარა, ის შავი ვინ იყო?- იკითხა ტრიფონმა და ბუხარში ტკუცა თავი.
- გამოუშვი შმაგები! - ბოლოწამს იყვირა ხუტას ქვეშ მოყოლილმა ფსიქიატრმა.

- ორსულები გეიყვანეთ!- მიხვდა ვიღაც ღვთისნიერი.
- სულ რამდენიმე წუთში ნეო-ნერვოკლინიკის მხრიდან შმაგების ტოტალური რაზმი შემოიჭრა ჟივილ-კივილით. მაშინ ქიმია არ იყო, ვაშლში ჭია ბუდობდა, რძე ქვაბიდან გადადიოდა, გიჟი გიჟობდა, შმაგი შმაგობდა. ბრძოლაში შმაგები ჩაებნენ. ერთმა, ყველაზე ჩქარა მდუღარემ, ხუტას ცხენს კბილებით ააგლიჯა ნალები.
ციხის დასი შედრკა, ჯერ დაიხია, შემდეგ უსირცხვილოდ მოუსვა და გაიბნა.
- ორი მანეთი და ოთხი აბაზი...- სუსტად მოისმა ჭურიდან მასწავლებლის ხმა და დაცარიელებულ "ნემეცის ქუჩაზე" სიჩუმე და სიმყუდროვე ჩამოდგა. დაწყნარდა მთვარეც, სახე დაეწმინდა, გამოჩნდა ხვამლი, წავიდა ეშმაკი, დაიძინა იმერეთმა. მაისის ნიავმა ვარდის სურნელი გადაავლო ქვეყანას.
საკვამურიდან ტრიფონის თავი გამოჩნდა. ობერმა არემარე შეათვალიერა. ვარსკვლავიან ცას ახედა და მთვარეს ალერსით უთხრა:
- აჯაფსანდალი მოხრაკული საჭმელია, რომელიც კეთდება ოქრო ვაშლისაგან... ჩამო ჩემსას, გაგასინჯო.
ნაზმა ნიავმა ლეღვის ხიდან ქოსა ძაღლი ჩამოაგდო. საბრალოს დაცემისას კუდი გადაუტყდა, ერთიც არ დაუკვნესია, ისე გასცილდა "ნემეცისქუჩას".
კიდევ მრავალი წლის განმავლობაში მოსაგონრად ჰქონდათ იმ ღამის ბრძოლა. დღესაც ამბობენ მოხუცებულები: "როდის დევიბადე? ტრიფონი რომ, თურმე, შავ კაცს ეძებდა და აჯაფსანდალს მთვარეს აჭმევდა, იმ წელს ავბადებულვარ, თურმე"...

ნახ. დ. ერისთავისა

- გაიგე, დარეჯან? ამ ჩვენს მთავრობაში 350 კაცი კორუმპირებული ყოფილა.
- რას ამბობ, ლუარსაბ, მე 450 დავთვალე,
- ჰო, გაფრენილან... შვეიცარიაში!

ნახ. ზ. ლეჟავასი

- იცი, რას გეტყვი, ბიძიკო... გადადი სხვა წონით კატეგორიაში და მერე მიჩივლე

ნახ. მ. აბაშიძის

თოხის და ბარის ერთგული



მიიასუხე ჩემო კარგო ვინი სული გსურს

იქნება იმის ვინც უნდ მოგცემს ძალიან ბევრ ფულს

იქნება იმის ვინც გიყიდის მანქანას და სახლს

იქნება იმის ნაირნაირს ვინც გაგაცნობს ხალხს

იქნება იმის ვინც გაჩუქებს ლეოპარდის ქურქს

იქნება იმის ვინც სიმდიდრით გაგიმაგრებს ზურგს

იქნება იმის ვინც მოგირთავს ძვირფას ქვებით ყელს

იქნება იმის ვინც ბეჭდებით დაგიმშვენებს ხელს

იქნება იმის ვინც აზრს მისცემს შენს ცხოვრებას ფუჭს

იქნება იმის ხიზილალით ვინც აგიჭესებს კუჭს

იქნება იმის ვინც მოგიძღვნის სიმღერას ან ლექსს

იქნება იმის ვინც გიჩვენებს შანტაჟისეულ სექსს

იქნება იმის ვინც გაგიკვლევს სიზნელეში გზებს

იქნება იმის ვინც შეგიცვლის მთვარესა და მზეს

იქნება იმის ვინც სავრთოდ დაგაკიდწყებს სხვას

იქნება იმის ვინც წარმთულს დაგიბრუნებს ზღვას

იქნება იმის ვინც დოლარის გაგიმყარებს კურსს

მიიასუხე, გენაცვალე, ვინი სული გსურს?..

კომპლიმენტური ამბები

წარსული ზაფხული,

ანუ

ვერისუბნის მელოდიები

მახსოვს ჩვენი შუხვედრა მთაში ნატვრის ხეზე ქეთო და კოტე მაგდანას. ლურჯას ბაშაიუკზე უფრო ძლიერ შეუყვარდა მაცხვეტია გიორგი ააკაძეს სხვისი შვილები გადაეყოლნენ დათა თუთაშხია კი ისევ დააპატიმრა პიერმა პოლიციის თანამშრომელმა ჩვენ მეგობარი ნოდარი ანუ ყოფილი ბანდიტი აგურის ქარხნიდან სვანეთის მარილს ყიდდა რადგან სიფაღარული ყველას უნდა პატრამ და ჭრიჭინამ კი მხარული რომანი გაახურეს როცა აკვანდა ნუში ნინოს ედგის ხელი ამაოდ ეხებდა ოქროს ობობას ჩვენი ეზოს დაკარგულ სამოთხეში მიმნომ პეველა დაიფარალა ლაზარეს მთვარის მოტაცება დაბრალეს თეძოს კი მონანიება არ აცალეს მე ვიტყვი სიმართლეს ამბობდა მაია წეხეიელი უდაბლოობო სასიძო კი საუდარელ ჭაბუკს კეთილ ადამიანებზე ელაპარაკებოდა ამ დროს ატყდა განგაში ღვინის ქურდმა ქვეყანი დაცალეს ფეოლამ რეკორდი დამყარა გოგია და ზარეა კი გეფერთხილებენ ბოდიში თქვენ გელითა სიკვდილი ცისფერ მთებში.

ქართული ყავა

ქართული ქალი კარგი მოჭადრაკეა
ქართული თეზნი ალმართში დაცურავს
ქართული ცხენი დაბალია და დაკუნთული
ქართული დედალი ჩქამაღლა კაკანებს
ქართული ძროხა ცინტას იწერეულა
ქართული ძაღლი ქოდაკია და ეკერმოგრილი
ქართული ბაბუა ალის ბრაბუა
ქართული ლალის ზოლარკს ფარეულებს
ქართული კატა ვეფხვის ნათესავია
ქართული ლომი ეკრრიელია
ქართულ მგელს ბალოს ეშინია
ქართული ცხვარა ხუმუაია
ქართული შაშე მგალობელია
ქართული ტურა ეამოცდილია
ქართული ვირი ოერრია
ქართული კუ ეაჯაშანს არ ტოვებს
ქართული ბულბული სხვეს უგალობს
ქართული არწივი ღრუბლებში დაფრინავს
ქართულ თხას ვეიხვის რქები აქვს
ქართული ფილში დამოუკიდებელია
ქართული ყავა არ არსებობს
ქართული ჩაი კი სურნელოვანი და საამო სასმელია.

მამლუქი

სელრიალი 13ე საუკუნეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი I

გორამ დაიპყრო ქუჩა,
გორას ბილო არ უნანს,
გორას ნერვი აქვს თუჯის,
გორა არ ინდოს ურჩებს,
გორას არა სწყრს ლოცვის,
გორას ნიჭი აქვს ხოცვის,
გორას არა აქვს სპიდი,
გორას დანა აქვს დიდი,
გორას არა აქვს გვარი,
გორა სუფევლან არი,
გორა არასდროს რაინდობს
გორა არავის დაინდობს.
გორა იარაღს აბარებს
გორა არ უფიართ პატარებს.
გორა არ არის საწყალი,
გორა ცხოველებს აწვალებს,
გორამ არ იცის სიცილი,
გორას არა აქვს სირცხვილი,
გორას არ ესმის ფრეიდის.
გორა მეფეი რეიდის,
გორას ეგვები არ იპყრობს,
გორა ყველაფერს დაიპყრობს,
გორას არაენ არა სჯობს,
გორა საშობლოს დარაჯობს.

ნაწილი II

ხვინა არ აწყობს სიფათს
ხვინა გაურბის ხიფათს
ხვინას სიმღერის ნიჭი აქვს
ხვინა ბეგვითი ბიჭია
ხვინა ვერ იტანს სამბოს
ხვინა კარგ ლექსებს ამბობს.
ხვინა არ ერჩის რუსებს
ხვინა მუსიკას უსმენს
ხვინას არ მოსწონს კარავი
ხვინა არ ერჩის არავის
ხვინას არ უყვარს კარნახი
ხვინას ბევრი აქვს ნანახი
ხვინას აცვია შორტები
ხვინა ზესტაფონს შორდება
ხვინას არა აქვს ხანჯალი
გაუღეთ ხვინას ფანჯარა.

ნაწილი III

გორა გადადის ნაპირებს
ხვინა გაქცევას აპირებს.

რამდენიმე სურათი, ანუ ეპიზოდი

ყურმოკრული

ყური მოკრა: ვინცხამ; დაასურათხატა: ჩუბჩიკამ

სტალინი გააცოცხლა ერთი დღით და რაფერ გაჟუჟავდა ხალხის მტრებს, დეინახავდი... რაფერ უბრალოდ მოკლეს აი გენიოსი ადამიანი...

სიბერეში თურმე წიგნის ფურცვლა დასჩემდა. აგი გამეეპარებოდა **კეკებეს?! მუუწამლეს წიგნი, გამეივლო პირში თითი, გადაშალა წიგნი და ფშვიტ!... გევიდა გაღმა.**

გენიოსი იყო, მარა, გოუზდელი იყო შექალო.

- Иосиф Виссарионович, Маршал Рокоссовский переспал с медсестрой Что делать будем?

- Что будем делать да ... завидовать будем!

კიევი რომ ეიღეს, სტალინმა იმდენი აცეკ-ვა ნიკიტა ხრუშოვი, რომე ათი კილო დააგდებინა და გახურებულზე ერთი ოტკაც აჯახა თურმე.

დაღლილ გულზე კიდო ოტკა უნდოდა მაგ საწყალს, მარა ბელადის ბრძანებას ვინ დოუდგებოდა წინე!... აგი ახსოვდა ნიკიტას, რავარც ძაღლის ნაკბენი და იმიზა იღვარძლებოდა და იმუქრებოდა მისი სიცოცხლე ქართველებისკენ... ისტე არ ტყუვა დანამცირები კაცის პოზიციიდან!...

იმხელა იმპერიაში ქართველს მაინც ქართველმა მოუვლინა ცეცხლის გენია...

- რავა, საწამლავს წიგნის ფურცელზე რუსი ვერ წოუსობდა? ყველე ლავრენტიე გვძულდა...

ლავრენტის სახელის ტარებიზა და პროტესტის ნიშნად დევივიწყეთ წყალივით ნაცოდნი რუსული და ბერიას ჯინაზე ვისწავლეთ მეგრული იმიზა, რომე ბოლომდე გაგვეანალიზებინა, რაფერ აზროვნებდა აი მტარვალი

ხრუშჩოვი შეარჩენდა სოსელოს ყალიონის თავში კაკუნსა და ბერტყებას შექალო?! – არც იოცნებო.

რავა, არ გამოგზავნა თუ, შავ ღორს სალაფავიზა რო ვერ შეკადრეფ, იმფერი პურის ფქვილი? ქართველ ბაღნებს ნაწლავები რო დუუხეთქა. არ მღერობდა ქართველი, თუ რავა? "შავი პური ჭადნარევი ტორტი მგონიაო...",

- კი მღერობდა, იმფერ დღეში ჩაგვაგდო სვინია ხრუშოვმა...

მე თვითონ მომიზელია ტალახისფერი ფქვილი და გამირევია ჭადი შით...

ყოჩაღის ცხოვრებიდან

- Чувствую себя, батенька, архискверно... скоро помру.
- Тогда отдайте мне власть!
- Боюсь, батенька, за вами массы не пойдут...
- Кто не пойдёт за мной, пойдет за вами!

ლენინ-სტალინი ეწყობოდნენ ერთმანეთს ძვირფასად და იცი რეიზა?
ლენინი იყო თეორეტიკოსი, სტალინი კიდო—პრაქტიკოსი და იმიზა. რაც გეიელვებდა ლენინის გოგრა თავში, წამში განხორციელებული ქონდა პრაქტიკულათ სტალინს.
ამიზა ეწყობოდენ მაგენი ერთმანეთს ფაქიზათ და მაგიზა იყო რო დეიბოღმა კაზიოლი ტროცკი

- Тов. Сталин, зачем вы расстреляли моего отца?
- А чем я тебе не отец?

- Молчи, дура, а то назначим Ленину другую вдову ...
например .. Фатиеву или Коллонтай

პაწია ბოვშმა კითხა დანამდუღარედ იოსებ სტალინს:
-"რეიზა დამიხვრიტე მამა"-ო?
იცი, რაფერ თვალდოუხამხამებლად უპასუხა ბელადმა: - "მე რათინ არ ვარ შენთვინ მამაო?"
ასტე ეჯერა საცოდავ ცხვრადქცეულ ხალხს და რო დეიღუპა სტალინი, ისოე დეიტირეს და იგლოვეს, ზოგი რომ მის მშობელ მამას არ დეიტირებს და არ იგლოვს...

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ილustrացია: ალეკო ნინოა
მოიხმინა, დაკვერა და დახატა კაკაფეს

L'ᲐᲤᲚᲘᲡ

ᲥᲕᲧᲣᲠᲐᲨᲘ ᲐᲠᲘᲡᲮᲣᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲓᲐ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲡᲐᲐᲗᲘ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ. ᲛᲘᲡᲘ ᲞᲘᲠᲘ-ᲥᲣᲩᲐᲨᲘ ᲛᲧᲤᲝᲓᲐᲠᲘ ᲛᲐᲛᲐᲚᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ, ᲛᲘᲣᲠᲗᲔᲚᲘᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲜᲘᲗᲠᲝᲜᲘᲡ Დ.Გ. ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲐᲛᲐᲚᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲛ ᲣᲩᲘᲠᲝᲕᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲕᲐᲠᲔᲑᲓᲐ.

ᲐᲛᲐᲓᲐ, ᲔᲠᲗᲘᲛᲐ ᲣᲛᲬᲘᲤᲘᲡ ᲛᲝᲯᲐᲮᲛᲐ ᲐᲛ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲠᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ.

ᲐᲚᲝ,
XREN EXPRESS- ᲐᲐ?
ᲛᲘᲚᲝᲜᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲒᲕᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ

ᲛᲬᲕᲐᲜᲘ ᲘᲠᲘᲜᲘᲡ ᲐᲝ ᲠᲐᲛᲔ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲘᲛᲬᲣ ᲓᲣᲠᲣᲡ, ᲘᲛᲬᲣ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲨᲘ, ᲘᲛᲬᲣ ᲡᲐᲛᲬᲐᲠᲝᲡᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲜᲐᲒᲜᲘᲡᲐᲒᲠᲔ ᲝᲠᲐᲛᲓᲔ ᲓᲐᲛᲘᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲬᲕᲐᲜᲘ ᲝᲠᲐᲛᲓᲔ ᲒᲐᲛᲝᲜᲘᲗᲠᲝᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲣᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐᲡᲐᲙᲔᲜ.

ᲤᲝᲢᲝᲒᲠᲐᲤᲘ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲒᲐᲛᲘᲛᲣᲮᲢᲐᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲨᲔᲣᲛᲩᲜᲘᲐ ᲘᲛ ᲓᲐᲜᲘᲡ ᲬᲐᲠᲘᲡ ᲘᲚᲘᲪᲘᲡᲐᲖᲔ ᲓᲐᲐᲪᲘᲠᲐ ᲛᲘᲜᲘᲗ, ᲡᲐᲯᲐᲠᲘ ᲬᲐᲮᲔᲚᲝᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲐᲛᲐᲚᲘ ᲓᲘᲓᲘᲡᲐᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲒᲐᲠᲔᲑᲐᲓ.

ᲔᲡ ᲛᲘᲚᲝᲜᲘ ᲠᲐᲛᲔᲜᲘᲐᲜᲘᲐ?

ᲛᲔ ᲒᲐᲮᲚᲝᲕᲐᲠ, ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ.

ᲛᲝᲜᲠᲘᲡᲐᲜᲘᲐ...

ᲘᲠᲘᲜ, ᲠᲐ... ᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲪᲘᲪᲮᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲒ ᲕᲐᲠ! ᲧᲝᲕᲚᲓᲒᲕᲐᲠᲘ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲒᲐᲒᲘᲒᲝᲜᲘᲗ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲕᲐᲠ– ᲐᲛᲐᲓ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲔ ᲛᲘᲥᲚᲘᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲓᲐᲙᲙᲝᲗᲘᲡ ᲛᲘᲮᲐᲡᲮᲠᲚᲝᲑᲚᲐᲓ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲒᲔᲒᲙᲕᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲩᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲔᲡ ᲮᲔᲚᲝᲜᲐ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲮᲔᲚᲝᲜᲐᲕᲔᲚᲘᲐ. ᲡᲮᲚᲝᲠᲘᲓᲐ ᲐᲛᲐᲓᲐ ᲨᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲨᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲣᲚᲘᲐ ᲘᲛᲘᲠᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲘᲐᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐ ᲥᲠᲐᲗᲕᲔᲚᲘᲡ, ᲣᲜᲓᲐ ᲒᲘᲛᲞᲣᲛᲞᲝᲗ ᲛᲘᲒᲠᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲛᲘᲯᲐᲒᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜᲐᲛᲔ...

ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜᲐᲛᲔ?!..

ᲒᲐᲜᲘᲮᲚᲔᲑᲘᲗ, ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ, ᲣᲐᲮᲚᲠᲘᲡᲐᲓ ᲔᲛᲘᲡᲝᲤᲘᲚᲘ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘ, ᲔᲡ ᲕᲐᲠᲐᲡᲐᲪ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲒᲐᲛᲘᲛᲝᲗᲛᲝᲗ.

ᲙᲐᲠᲒᲘ, ᲘᲣᲝᲡ ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜᲐᲛᲔ..

ᲐᲮᲚᲐ ᲙᲘ, ᲜᲣᲜᲐ ᲛᲘᲠᲛᲝᲗᲘᲗ, ᲒᲘᲩᲕᲔᲜᲝᲗ ᲩᲔᲛᲘ ᲜᲐᲛᲘᲨᲣᲚᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲖᲝᲠᲨᲘ.

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲗᲘ ᲒᲘᲜᲓᲐ! ᲔᲡ ᲨᲐᲯᲣᲜᲐ, ᲛᲘᲒᲘᲚᲝᲗᲘᲐᲜᲘ, ᲐᲕᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲠᲐᲒᲖᲔ ᲨᲔᲛᲓᲔᲑᲘ. ᲨᲔᲓᲒᲐᲛᲘᲡᲘᲡ ᲙᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲮᲚᲝᲓᲐᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲒᲐᲛᲐᲛᲐᲠᲗᲚᲐ.

ᲐᲮ, ᲔᲡ ᲛᲐᲒᲘᲤᲘᲐ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲕᲘᲥᲢᲝᲠᲘᲜᲘᲡᲨᲘ... ᲨᲔᲓᲒᲐᲛᲘᲡᲘᲡ ᲙᲘᲜᲝᲒᲐᲠᲘᲡᲣᲚᲘᲐᲕᲘᲐ ᲓᲐ ᲕᲘᲥᲢᲝᲠᲘᲜᲐ ᲡᲐᲠᲔᲒᲣᲚᲝᲛᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲝᲜᲐ.

ᲐᲮᲚᲐ, ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ, ᲝᲣ ᲨᲔᲣᲪᲝᲗᲮᲕᲔᲗᲘ ᲐᲥᲐᲠ ᲒᲐᲥᲕᲗ, ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲨᲔᲣᲯᲣᲠᲔᲗ. ᲙᲔᲗᲘᲚᲠᲝᲜ, ᲐᲡᲐᲮᲜᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲕᲘᲜᲣᲚᲝᲗ. ᲝᲚᲝᲜᲓ ᲔᲠᲗᲘᲗᲘ ᲜᲔᲚᲝᲗᲘᲗ ᲛᲘᲓᲒᲠᲝᲕᲗᲘᲗ, ᲨᲔᲛᲪᲐᲕᲔᲡ ᲧᲕᲘᲠᲣᲚᲘ

ᲨᲔᲛᲪᲐᲕᲔᲡ?!..

– ᲓᲘᲐᲮ, ᲨᲔᲛᲪᲐᲕᲔᲡ. ᲩᲛᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲐᲪᲘ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲛᲫᲘᲛᲔᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲧᲣᲠ ᲕᲘᲯᲣᲠ.

ᲔᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲬᲘᲚᲘᲗ ᲬᲕᲔᲗᲘ ᲘᲧᲝ. ᲥᲐᲚᲘᲗ ᲒᲣᲚᲘᲡᲬᲐᲮᲣᲚᲘ ᲓᲐᲯᲣᲯᲣ. ᲨᲔᲛᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘᲗ ᲤᲝᲢᲝᲒᲠᲐᲤᲘ ᲐᲕᲐᲥᲣᲤᲘᲛᲘᲒᲚᲣᲯᲣᲚᲘᲗ ᲒᲐᲒᲐᲜᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲓᲐ..

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ქართული ფეხბურთი „ნიანგს“ ლასტებზე არ ჰკიდია



ნეტა როდის ჩაგვხდიან ასე . . .

(ოცნება)

"ნიანგი" თხოვნით მიმართავს ევროპის ფეხბურთის ფედერაციას, რათა მან გაითვალისწინოს საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის ქრონიკული წარუმატებლობა და დაუწესოს მას შემდეგი შეღავათები:

1. საქართველოს ნაკრების მეტოქის კარის სიგანე განისაზღვროს კუთხურის აღმნიშვნელ დროშებს შორის მანძილით, სიმაღლე კი გაიზარდოს ორჯერ (იხ. სქემა).
2. საქართველოს ნაკრების კარი შემცირდეს ჰოკეის კარის ზომამდე (იხ. სქემა).
3. თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმები განხორციელდეს: საქართველოს ნაკრების კარში ოცდაორი მეტრიდან, მეტოქის კარში - 5 მეტრიდან.
4. ორივე ტაიმი ჩატარდეს მოედნის მხარეთა შეუცვლელად.
5. ფეხბურთელთა რაოდენობა სათამაშო მოედანზე განისაზღვროს შემდეგნაირად: საქართველოს ნაკრები - 20 ფეხბურთელი, მათ შორის ორი ერთდროული მეკარე, მეტოქის ნაკრები - 7 ფეხბურთელი, უმეკაროდ.
6. საქართველოს ნაკრების მწვრთნელს უფლება მიეცეს მატჩის მსვლელობის დროს შეცვალოს 11 ფეხბურთელი და, თუ საჭიროდ ჩათვლის - მთავარი მსაჯი და მისი თანაშემწეები.
7. საქართველოს ნაკრების მწვრთნელს ნება დაერთოს, აიღოს ხუთწუთიანი ტაიმ-აუტები ფეხბურთელთა მოსამაგრებლად ბანანებით, "ივერია" სოსისებით, "არგო" ლუდით და სხვა სტიმულატორებით.
"ნიანგი" იმედს გამოთქვამს, რომ ეს შეღავათები საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებს დაეხმარება, ამაყად შეაბიჯოს ევროპის დიდ საფეხბურთო ოჯახში და დაიმკვიდროს მასში თავისი ადგილი.

ქართული ფეხბურთი

(სპორტის სახეობა)

კარგად გაიხსნა გოგრიჭიანი, მაგრამ რად გინდა
გადასარევი პასი ჩააწოდა ქეცბაიამ, მაგრამ არაზუსტად
მაგარი შეტევა წამოიწყო ცხადაძემ, მაგრამ ამაოდ
შესანიშნავად თამაშობს ქინქლაძე, მაგრამ არ ათამაშეს
ძალიან ძლიერად დაარტყა შელიამ, მაგრამ ააცილა
საოცრად კარგ ფორმაშია გახოკიძე, მაგრამ ვერ გამოჩნდა
ენერგიულად შეუტია არველაძემ, მაგრამ წააქციეს
ოსტატურად დაამუშავა ბურთი ჯამარაულმა, მაგრამ დაკარგა
მშვენივრად გაართვა თავი ამოცანას ზოიძემ, მაგრამ ბურთი ვერ აიღო
გადასარევად ითამაშეს ქართველმა ფეხბურთელებმა, მაგრამ ორით ნოლი წააგეს.

კოტე (არა მახარაძე)

ზოგიაქო

ნიშნის მატარებელს ვერძის ვენერა და მარსი ებრძვის და რომ მიაღწიოს მიზანს სახლში იჯდეს სწორად იზამს

თუ ხარ "ხარი" ანუ "კურო" ჯობს ბევრი არ გაახურო თორემ ისეთს ვხედავ ვარსკვლავს რომ პატრონი მალე დაგკლავს.

ასეთ რჩევას მივცემთ "ტყუპებს"- მოერიდონ სექსში გრუპებს თორემ შანსი არის დიდი დაემართოთ ამ თვეს სპიდი.

ჰოროსკოპით თუ ხარ "კიბო" როცა მთვარეს ნახავ ახალს მაგრად რომ არ გაიტყიპო მოერიდე აყალმაყალს.

ნიშნის მატარებელს "ლომის" კარგად იყოს ამ თვეს რომ ის თუ შეხვდება ლამაზ "კუროს" ვურჩევ რომ იმოგზაუროს.

ამ კვირაში ვურჩევ "ქალწულს" ნუ აკეთებს იმას რაც ძულს გვერდში პარტნიორი თუ ჰყავს გააკეთოს ის რაც უყვარს.

მერწმუნე თუ ხარ "სასწორი" ჩქარა უნდა დრო იხელთო ვერ გეღირსება საწოლი სჯობს, რომ ასო მოიკვეთო

ნიშნის მფლობელს "მორიელის" ფათერაკი ორი ელის მაგრამ თუ დაანთებს სანთლებს კვირის ბოლოს გაუმართლებს.

ნიშნით თუ ხარ "შვილდოსანი" და გონიხარ შვილს მგოსანი ტყუილის თქმის სძლიე ჩვევა თორემ მაგრა დაგენძრევა.

ჰოროსკოპით თუ ხარ "თხის რქა" რასაც ფიქრობ უნდა ის თქვა როცა ამჩნევ ჩხუბი ტყდება თორემ რქები დაგატყდება.

თუ ნიშანი შენი არის "მერწყული" ნიშნავს კუჭის გემუქრება შენ წყლული და ყველაფერს როცა აწონ დაწონი ჯობია რომ ჭამო მხოლოდ მაწონი.

ასტროლოგი "თევზებს" ურჩევს მოარიდოს თავი სარკეს დაჭერას რომ გადაურჩეს და არ წამოეგოს ანკესს.

ქალბატონ ნინგასეული კითხვა ყავაზე

თუ ყავაში ამოგვივიდა:

გველი	- უფრთხილდი სიდედრს და საგადასახადოს
მორიელი	- ტვინში დაგროვილი შხამი კუდუსუნისკენ გადაგაცვლებს (ბულვარული გაზეთის კორესპონდენტებისთვის სასარგებლოა).
ძაღლი	- ძალოვან სტრუქტურაში მოეწყობი
ვირი	- თქვენ მუშაობა მოგიწევთ, თქვენს ბრიგადირს კი - ჭამა
კაჭკაჭი	- დეპუტატობაზე კენჭს იყრი და შეიძლება გაჭრას კიდეც
ჩარჩო	- ქურდად დაჯდები
გალია	- ჩარჩოსთან ერთად ცუდია
შაქარი	- კარგად მოურიე
ჩონჩხი	- ბოლომდე დარჩები შემოქმედ ინტელიგენტად
ნიანგი	- ჩვენ ამოგვივიდა

„ინტერვიუ“ ლორთქიასთან

„ნიანგი“ - ვის ვესაუბრები: ლორთქიას თუ ბატონ გურამ ლორთქიფანიძეს?

„ლორთქია“ - გურამ ლორთქიფანიძეები ბლომად არიან, ლორთქია ერთია.

„ნიანგი“ - რა არის ცხოვრება, ტრაგედია თუ კომედია?

„ლორთქია“ - ცხოვრება ის არის, რაც არის... ვინ როგორ უყურებს: მხიარულად შეხედავ - კომედიაა, ცხვირს ჩამოუშვებ - ტრაგედია.

„ნიანგი“ - ცხვირს გააჩნია.

„ლორთქია“ - ნამოიკები არ იყოს.

„ნიანგი“ - თუ ცხოვრება კომედიაა, რა გირჩევნია: მთავარი როლის თამაში თუ მაყურებელთა დარბაზში ჯდომა?

„ლორთქია“ - სცენა მირჩევნია, ფიცარნაგი, გადასაღები მოედანი, სუფრის თავი - ირგვლივ ღიმილიანი სიფათები. საერთოდ, ყველაფერი თამაშია, ბავშვობიდან მოკიდებული ბოლო წუთებამდე, თამაშს კი სილაღე და იუმორი უხდება, სხვანაირად ყველაფერი მოსაწყენია. თუ გახსოვს, ინგლისური ფილმი, თუ არ ვცდები, „სიცილი სამოთხეში“ ერქვა. კაცი კვდება. მის საწოლთან მომვლელი გაზეთს კითხულობს. მომაკვდავი სანთებელათი გაზეთს ცეცხლს უკიდებს და დამფრთხალი მომვლელის შემხედვარე გულიანი სიცილით მაღლდება ზეცას.

„ნიანგი“ - ეს იგი, ყველაფერი თამაშია?

„ლორთქია“ - ყველაფერი, სიყვარულიც, პოლიტიკაც...

„ნიანგი“ - ფეხბურთი?

„ლორთქია“ - ქართული ფეხბურთი ტრაგედიაა, უანტრაქტო.

„ნიანგი“ - პოკერი?

„ლორთქია“ - პოკერი ტრაგიკომედიაა. არ მიმართლებს, „პალასა“ არა მაქვს. როცა ჩვილს ენა ამომიდგამს, პირველი სიტყვა მითქვამს: „პაას!“ მას მერე სულ „პაას“ და „პაროლის“ გავიძახი.

„ნიანგი“ - რა გახდა ერთი „პალასა“... ამდენი ნაცნობი გყავს.

„ლორთქია“ - ეეჰ, შე კაი კაცო, მე ჩრდილოეთ პოლუსზე ყინულს ვერ ვიშოვი.

„ნიანგი“ - კაი, კაი, თავს ნუ ისაწყლებ, მთელ ქვეყანას უყვარხარ და თავს გევლება. ანკარაში უნიკალური ოპერაცია გაგიკეთეს და მეორე „დიხანიე“ მოგცეს ახი წლით.

„ლორთქია“ - კაი, თუ ძმა ხარ!... ვა, რა უნდა გითხრა: ანკარაში, უკვე ნაოპერაციევზე, რეანიმაციაში, მაგარი თაიგული მომართვეს. როცა წავიდნენ, მომვლელს დავუძახე და საწოლი შუა პალატაში გავაგორებინე. თაიგული დავშალე, გულზე დავიყარე და ექიმების შემოსვლის წინ ღია თვალები გავაქვავე. შემოვიდნენ, თავზარი დაეცათ!... მერე მთელი დღე იცინოდნენ.

„ნიანგი“ - ეს იგი, სიკვდილსაც შეიძლება გავხუმრო...

„ლორთქია“ - პირველ რიგში, ნოდარ დუმბაძემ, სიკვდილის წინ, ნახევრადშაყირი გურული სიმღერა ჩაარაკრაკა და ნახევრადხუმრობით მიაძახა: „მოდი ახლა, სიკვდილო, და დამახტი აგერ!“ იუმორი ყველაფერს შველის და თავის ადგილზე აყენებს.

„ნიანგი“ - სერიოზულ სადღეგრძელოს როგორ უყურებ?

„ლორთქია“ - მხოლოდ ოფიციალურ „ალა ფურშეტზე“... სადრეგრძელო და პურ-ღვინო ნახევრადსახუმარო მწამს, ცხადია, ჭირის სუფრას არ ვგულისხმობ. სუფრა ლხინია, ლხინი - სილაღე და ხუმრობაა. სუფრა სიმღერისა და იუმორის სახელმწიფოა.

„ნიანგი“ - ლორთქი, მოგწონს, ძაან პოპულარული რომ ხარ? ამასწინათ სარეკლამო კლიპშიც გნახე.

„ლორთქია“ - კაი, თუ ძმა ხარ! გამაბრიყვეს! არც არაფერი მომცეს... ისე, რო იცოდე, სასიამოვნოა, როცა გცნობენ, მაგრამ მაგის გამო ბაზარში ვერ დავდივარ - ფულს არ მახდევინებენ და მრცხვენია!... ჰო, იმ დღეს მარშუტკაში ჩავჯექი, ვიფიქრე ეკონომიას გავაკეთებ-თქო. მძღოლს მივესალმე. „ვა, აგულის გაუმარჯოსო!“ არაფრის დიდებით ფული არ გამომართვა. სამაგიეროდ, თორმეტი მგზავრიდან თერთმეტი ჩემი ნაცნობი აღმოჩნდა და თერთმეტივე დავპატიჟე... ამის მერე მარშუტკას სათოფეზე აღარ ვეკარები.

„ნიანგი“ - „ნიანგი“ გახსოვს?

„ლორთქია“ - ცოცხალი - ბუნდოვნად, ზოოპარკში ბავშვობის მერე არ მინახავს, ჟურნალი - ძალიან კარგად. თუ გააცოცხლებთ და რეგულარულს გახდით, მყიდველი და მკითხველი არ მოგაკლდებათ. პრეპარატი „ნიანგინი“ სასარგებლოა ქართველი მკითხველის ჯანმრთელობისათვის.

„ნიანგი“ - ჰო მართლა: პრეზიდენტობაზე კენჭს არ იყრი?

„ლორთქია“ - კენჭზე რა გითხრა და მახათს კი ვაპირებ.

„ნიანგი“ - მადლობა ინტერვიუსათვის.

„ლორთქია“ - მაგ მადლობას ის აჯობებს, „ნიანგი“ რომ გამოვა, დროზე მომიტანე! ჰო, ინტერვიუში ტყუილები არ ჩაწერო.

ინტერვიუ აიღო ლერი ჩანტლაძემ

„ნიანგი“ - პირველი ყართული ჟურნალი თანამგზავრზე



თეთრი ტყე, შავი ტყე... ყველაფერი შავიტყეთ

ყვარლის მთებში ტყე იყო,
ახლა გახლავთ „სატყეო“,
სადაც ჯიქურ ტარდება
პოლიტიკა სადღეო.
ტყეს ჰყავს ძველი მეტყევე,
„სატყეოს“ კი - უფროსი,
ცოტას საქმეს ახმარენ,
მეტი მიაქვთ უფრო შინ.
ტყე ხომ ხეა, ხე - მორი,
მორი „ლევი“ ფულია,
რასაც შეჭამ - შენია,
სხვა კი - დაკარგულია.
რა შრიალა ტყე იყო,
ტყეში - კაჟი ხეები,
იმ ხეებით თურქეთში
მორთეს სასახლეები.
თუკი ცეცხლს არ შეუნთებ,
ნეტა, სხვა რა უნდა ხეს?
თვითონ ტყის დამცველებმა
ძირში თუ არ აჩეხეს.
ხე თავისით იზრდება,
მოჭრა უნდა „დრუჟბით“ ხეს,
ვის ადარდებს ხვალის დღე -
შვილებს რა შეუნახეს...

ერთხელ გვეწვიეთ ყვარელში

ერთხელ გვეწვიეთ ყვარელში,
სადაც ილია შობილა,
სადაც ჯიხური ჯიხურზე
დგას გულყელგადაჭდობილად.
კი, მშვიდობაა ყვარელში,
სად ყვარელი და სად - ომი,
ეგ არის, ბაზრის გარშემო
არა გვაქვს ავტოსადგომი.
ამ არემარეს რომ ადევს -
ყვარლის მერიის ტორია...
ბოლოს იკადრეს, გამოყვეს
სადგომის ტერიტორია.
რად გინდა მერე? მავანმა
იყიდა იგივ ნაკვეთი
და საძირკველი გათხარა
უშველებელი მარკეტის.
წვეთი ტყუილი არ გახლავთ
ამ ყვარლის ბაზრის ამბავში,
მობრძანდით, თავად იხილეთ:
ვვაჭრობთ მტვერსა და ნაგავში.

კორესპონდენტი: ალ.იმერლიშვილი

წამალი "ნიანგინი"

ლიცენზირებულია სატირა-იუმორის კომიტეტის მიერ 1923 წლის 13 ივნისს

ნახ. მ. კუხაშვილისა

დანიშნულება: ცხვირჩამოშვებულობის, ყურჩამოყრილობის, შურის, ბოღმის, გულგრილობის, კორუფციისაკენ მიდრეკილების, ნეგატიური სტრესების სამკურნალო პრეპარატი.

მოქმედება: მიღების მომენტიდან იწვევს მხიარულ განწყობილებას. სრული კურსის ჩატარების შემდეგ იწყება ღიმილის გადაზრდა სიცილში. შეინიშნება თავშეუკავებელი ხარხარის სინდრომიც.

უკუჩვენება: „ნიანგინი“ უარყოფითად მოქმედებს მანანისტებზე, სეპარატისტებზე, ტერორისტებზე, მოქმედ მარქსისტ-ლენინელ კომუნისტებზე, გაკოტრებულ ბანკირებსა და პოლიტიკანებზე, არ მოქმედებს ჩაჭრილი აბიტურიენტების მშობლებზე, ბელგიური პროდუქტების მომხმარებლებზე.
იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდებიან პრეპარატით გამოწვეული სიცილით დაოსებულები და დახოცილები.

შენიშვნა:

სიცილით დახოცილები დატირებულნი იქნებიან „ნიანგის“ ცრემლებით.

შეიძინეთ
ნებისმიერ „ბუდკაში“

ფოტომონადირე

გაფუჭებული ტელეფონი

- გაზეთი "კვირის პოლიტრა"
- კონსტიტუციური სასამართლო
- ფლობერის "მადამ პოვარი"
- "ოთარაანთ ქვევრი"
- ნოეს გარდაბანი
- ა. დიუმას "ქალი კარამელებით"
- ჟ. ვერნის "საიდუმლო ძუნძული"
- დ. დეპოს "რობინზონ კრუზო"
- სოცუზრუნველობის სამინისტრო
- შექსპირის მონეტები
- რუბენ აინშტაინი
- დობერმან პანჩური
- ალბერტო სწორდი
- საგადასახედო ინსპექცია
- რუსიამოვნება

Niangi's Microsoft Explorer

„ნიანგის" - პატარა და რბილი ადმომჩენი

პროფესორი ლექციას კითხულობს ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში.
- საჯიშე ხარი დღეში დაახლოებით 16 სქესობრივ აქტს ასრულებს...
მას აწყვეტინებს სტუდენტი გოგონა პირველი რიგიდან:
- უკაცრავად, პროფესორო, შეგიძლიათ გაიმეოროთ ბოლო ფრაზა ბოლო რიგში მჯდომი სტუდენტისათვის?
- რა თქმა უნდა, დაახლოებით 16 აქტს დღეში.
ბოლო რიგში მჯდომი ბიჭი ეკითხება:
- უკაცრავად, პროფესორო, ის ხარი ყველაფერ ამას მხოლოდ ერთ ძროხასთან აკეთებს?
- არა, რას ბრძანებთ, რა თქმა უნდა სხვადასხვასთან!!!
- შეგიძლიათ, გაიმეოროთ ბოლო ფრაზა პირველ რიგში მჯდომი გოგონასთვის?

ტელესკოპით მზის დანახვა ცხოვრებაში მხოლოდ ორჯერ შეიძლება: მარჯვენა და მარცხენა თვალით.

ქმარი სახლში კარგ გუნებაზე ბრუნდება. დაუწყებს ცოლს მოფერებას, მაგრამ ცოლი უარზეა: - არაფერი არ გამოგივა, მე ხვალ გინეკოლოგთან მივდივარ და სუფთად უნდა ვიყო. ქმარს ხასიათი უფუჭდება და ზის დაღვრემილი. უცებ სახეგაბრწყინებული ეკითხება ცოლს:
- ხვალ სტომატოლოგთანაც ხომ არა ხარ მისასვლელი?

ქალი ზის სკვერში. გვერდით კაცი მიუჯდება და ეკითხება:
- უკაცრავად, ქალბატონო, თქვენ პოლიტიკოსი ხომ არ ხართ?
ქალი (გაკვირვებული): - დიახ, როგორ მიხვდით?
კაცი: - უბრალოდ, სულელური გამომეტყველება გაქვთ.
ქალი (გაბრაზებით): - თქვენც სულელის სახე გაქვთ.
კაცი: - მეც პოლიტიკოსი ვარ!

ქუჩაში მორბის გააფთრებული უნიტაზი და ღრიალებს: „სულში, სულში ჩამა-ვეს!"

ინტერნეტში ადმოაჩინა „ნიანგმა"

რაფინირებული ინტელიგენტი

- "რაფის" მძღოლი, რომელიც ადრე მეცნიერებათა აკადემიაში მუშაობდა

ტერაქტი

- ტერიტორიის დანაწილების ამსახველი აქტი.

კონვერტირებადი ვალუტა

- ფული, რომელმაც ბევრი კონვერტი გამოიცვალა და ბოლოს მოხელის ჯიბეში მოხვდა (სულხან-საბას მიხედვით - ქრთამი)

განმარტებითი ლექსიკონი

საუკეთესო პლაკატი

საუკეთესო რეკლამა

ვაცხადებთ კონკურს საუკეთესო პლაკატსა და საუკეთესო რეკლამაზე.

კონკურსში დაიშვებიან მხოლოდ
კარგი მთქმელები და კარგი გამგებები, ხატვის ნიჭიც სასურველია



ნიანგში

ნიანგ ჟილ, ნიანგ ჟივ, ნიანგ ბუდეტ ჟიტ!!!

მთავარი რედაქტორი
ბეჟან სიხარულიძე

სარედაქციო კოლეგია:

მურთაზ აბაშიძე
საბა კიკნაძე
ჯემალ ლოლუა (მხატვარ / რედაქტორი)
ნოდარ მალაზონია
თენგიზ მირზაშვილი (ჩუბჩიკა)
გია სიხარულიძე
ლერი ჩანტლაძე (ლიტ.რედაქტორი)
ჯანსულ ჩარკვიანი
კოტე ყუბანეიშვილი
თამაზ წივწივაძე

*კოტესტროფების აღნიშვნა:
ე.ი. ავტორი კოტე ყუბანეიშვილია

მხატვარი / დიზაინერი:
ალაკადუ იგივე „დათო მაჭავარიანი“

მენეჯმენტი და მარკეტინგი:
კომპანია **Promo Ltd.**

კომერციული დირექტორი:
საბა კიკნაძე
ქეთევან ბაბუნაშვილი

„ნიანგი“ს უფლებებს ხუმრობაზე
იცავს იურიდიული კომპანია:
„კორძაძე და სვანიძე ადვოკატები“

გამოქვეყნებულ მასალებში საავტორო
სტილი დაცულია.

თბილისი, 380008,
რუსთაველის გამზირი 42.
ტელ: 931942, 934932, 995554

ვისაც ჰგონია, რომ “ნიანგში”
რეკლამა არ თავსდება -
მწარედ ცდება!

მიმართეთ: მაკა ჩხაიძეს და
ნანა ჯაჯანაშვილს
- 940330, 934932

ჟურნალი გამოდის თვეში
ერთხელ. ტირაჟი: 5000
რეგისტრირებულია: ქ.თბილისის
მთაწმინდის რაიონის
სასამართლოს მიერ;
რეგისტრაციის № 4/4 - 1263

ფასი: შეთანხმებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეჰ, არ ყოფილა იოლი საბაზრო ეკონომიკა, განსაკუთრებით - რძე თუ ჩაგიდგა...

სახელმწიფოსთვის მრეწველი მრეხა ეოფილა მეწველი!

ნახ. ჯ.ლოლუასი

თუკი იხადე ნალოგი,
თითი დაგრჩება სალოკი!

უნდა საგადასახადოს,
ბოლო პერანგი გაგხადოს...

ჯარიმა, საურავი, ჯარიმა, საურავი, ჯარიმა, საურავი . . .